პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 27 სექტემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

219 (917) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## კიდევ პარტმუშაობის გაშუქების შესახებ.

ამ საკითხის შესახებ ბევრჯერ გვქონდა ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ნაწილებში წარმოებული პარტიული მუშაობა ძლიერ ცოტად შუქდება და ისიც მეტის მეტად მკრთალად და მშრალად. არ იქნა და არ მოხერხდა ამ მხრივ საქმის მოგვარება.

პარტიული მუშაობის გაშუქების მნიშვნელობის შესახებ აქ ზედმეტია ლაპარაკი. მისი აუცილებლობა ყველასათვის უდავოა. ამავე დროს კი ჩვენი სამხედრო ნაწილის ცხოვრების ამ მხარეს სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. და თუ სწერენ პარტცხოვრებაზე, იმასაც სქემატიურად, ზერელედ, კაზიონურად. არავითარი დაკვირვება, მხოლოდ საერთო ფრაზები. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხკორები მხოლოდ და მხოლოდ სწერენ პარტკრებების ანგარიშებს. თითქოს მთელი პარტიული მუშაობა ნაწილებში მარტო კრებებით განისაზღვრებოდეს.

არც ეს კრებები შუქდება, როგორც წესი და რიგია. მთელ არშინიან კორესპონდენციაში სამხკორი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ამა და ამ ამხანაგმა ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ეს და ეს. ამავე დროს კი თუ როგორ გაირჩა ნაწილის ფარგლებში წამოჭრილი ესა თუ ის საჭირბოროტო საკითხი, ამის შესახებ ის არაფერს არ ლაპარაკობს. ის სდუმს აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენათ პარტუჯრედის ავტორიტეტი დიდია წითელ-არმიელთა მასაში, როგორ მუშაობს პარტუჯრედი უპარტიო წითელ-არმიელებს შორის და სხვა.

ყოველივე ამ ნაკლის შესახებ ვიმეორებთ ჩვენ ბევრჯერ გვქონდა ლაპარაკი.

დროა ეს შესმენილ და მხედველობაში მიღებულ იქმნას სამხკორების მიერ.

სამხკორთა წრეებმა საჭიროა თავის კრებებზე დასვან პარტმუშაობის გაშუქების საკითხი, ხავსებით გაითვალისწინონ ყველა არსებული დეფექტები ამ მხრივ და მით პარტცხოვრების გაშუქებას მისცენ უფრო სისტემატიური და შინაარსიანი ხასიათი.

განსაკუთრებით ეს საჭიროა დღეს, როცა სწარმოებს ახალწვეულების შეხვედრისათვის მზადება.

მეტი ყურადღება პარტმუშაობის გაშუქებას.

ნაწილის პარტორგანიზაციის თითეული წარმატება და მიღწევა უნდა იქმნას ყოველ მხრივ და შინაარსიანად აღნიშნული სამხკორის მიერ.

ეს ერთი ძირითადი და უმთავრესი ამოცანაა სამხკორთა მუშაობაში, რის განხორციელებას დროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

## ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობის წინ.

მოკლე ხანში უნდა შესდგეს ინგლისის მუშათა პარტიის მორიგი ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგიდან სჩანს, რომ მომავალ ყრილობაზე უნდა გადაწყდეს დიდი პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხები. უმთავრესი მათგანი უეჭველად კომუნისტების მუშათა პარტიაში მიღების საკითხია. აქ საჭიროა განვმარტოთ, რომ ინგლისის მუშათა პარტია კი არ შესდგება ერთ მთლიან პარტიისაგან, არამედ მასში შედის სხვა და სხვა ავტონომიური პარტიები, როგორიცაა, თვით მუშათა პარტია, დამოუკიდებელი მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატების ჯგუფი და სხვები. დღემდის კომუნისტები მუშათა პარტიაში არ არიან მიღებულნი, თუმცა ისინი ხშირად მთლიან ფრონტით გამოდიან. ეს გარემოება აიხსნება პარტიის მემარჯვენე ბელადების შიშით, რომ კომუნისტები პარტიაში შემოსვლისთანავე გამოამჟღავნებენ მათ გამცემლურ ფიზიონომიას და გაუქარწყლებენ პარტიულ მასებზე გავლენას.

დღეს უკვე საკითხი სხვაგვარად სდგას.

ინგლისის მუშათა კლასი აშკარად მემარცხენეობას იჩენს, რაც ქ. სკარბორში, ინგლისის პროფკავშირთა ყრილობაზე დავინახეთ. მომავალ ყრილობის შესახებ მოსკოვის „პრავდა“ შემდეგსა სწერს: „ინგლისის მუშათა მოძრაობა თანდათან სძლევს თავის გზაზე რეფორმისტულ (შეთანხმებელთა მიერ მოწყობილს) დაბრკოლებას. ინგლისის პროლეტარიატის ფართო მასების გარდატეხა მარცხნივ აშკარა ნიშანს აჩენს თვით მუშათა პარტიის ტაქტიკას, როდესაც მისი ბელადები ამის გამო იძულებულნი არიან მიმართონ „მემარცხენე“ მანევრებს. მ. პ—იის აღმასკომმა მოისმინა სპეციალურ კომისიის მოხსენება „ზინოვიევის წერილის“ შესახებ და მისი სიყალბე უდავოდ გამოაცხადა. მუშათა პარტიის ბელადი, ქრისტეს მოყვარული მაკდონალდი, ნიადაგს კარგავს თავისივე პარტიაში. ის ცდილობს იგივე როლი შეასრულოს მუშათა პარტიის ყრილობაზე, როგორიც გაძყიდველმა ტომასებმა პროფკავშირთა ყრილობაზე.

„მაკრატლები“ მეფის სოციალისტებსა და ინგლისის მუშათა კლასს შორის თანდათან ფართოვდება. ინგლისის მუშათა კლასის გარდატეხას ვერავინ ვერ უარყოფს. სიცრუის და ჭორების ვერავითარი შეკოწიწება ვერ დაფარავს იმ შიშს, რომელსაც განიცდიან მუშათა კლასის მტრები თავის დამარცხების წინ.

ნ.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისის გაზეთები განაგრძობენ პროვოკაციას.

მთელი გერმანიის პრესა აქვეყნებს ინგლისის გაზეთ „დეილი გრაფიკის“ მიერ გავრცელებულ ხმებს, თითქოს საბჭოთა მთავრობა ფართო დახმარებას უწევდეს ფულით ინგლისის საწინააღმდეგო პროპაგანდას მოსულის რაიონში.

ინგლისის რეაქციონური გაზეთი „მორნინგ პოსტი“ მოწინავეში კითხულობს:

„სანამ ექნება საბჭოთა მთავრობას ნება გააგრძელოს თავის ომი ინგლისის წინააღმდეგ?“

გაზეთი მიუთითებს, რომ საბჭოთა მთავრობა განაგრძობს შეთქმულების მოწყობას ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ინდოეთში.

## საბჭოთა პურის გამარჯვება უცხოეთის ბაზარზე.

რუმინეთის სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი „არგუსი“ აღნიშნავს საბჭოთა პურის კონკურენციის გაძლიერებას ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

გაზეთის სიტყვით რუმინეთის ცუდი ხარისხისა და მასთან ძვირი პური ვერ გაუძლებს საბჭოთა პურის კონკურენციას.

## უნგრეთის პოლიცია აძლიერებს შეტევას მუშების წინააღმდეგ.

უნგრეთის მუშათა მასებში იზრდება მოძრაობა. პოლიციამ გადამწყვეტი შეტევა დაიწყო მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ. სწარმოებს მრავალი დაპატიმრება.

პოლიცია ავრცელებს ხმებს კომუნისტურ შეთქმულების შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის აღდგენის მიზნით.

როგორც ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, იქ მოელიან მასიური დაპატიმრების გაგრძელებას.

## მუშებმა აიძულეს.

რუმინეთის მთავრობამ გააძლიერა ამ ბოლო დროს მუშათა დაპატიმრება და დახურა პროფესიონალურ ორგანიზაციების რამოდენიმე ბინა. მუშებმა და რამოდენიმე გაზეთმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. მთავრობა იძულებული შეიქნა გაეხსნა პროფკავშირთა შენობები და პატიმრობიდან გაეთავისუფლებია რამოდენიმე მუშა.

## მაროკოს ომის გარშემო.

### სამხედრო ოპერაციები.

ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ჯებელ-ტუნსუნი და ჯებელ—კუნსუნი.

## დორიოს მისია მაროკოში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა სწერს, რომ დორიო (ფრანგი კომუნისტი) ვერ შევიდა მაროკოში და დაბრუნდა საფრანგეთში.

გაზ. „იუმანიტე“ აცხადებს, რომ დორიომ და მისმა დელეგაციამ აასრულეს თავისი მისია (გამოიკვლიეს მდგომარეობა მაროკოში).

## მაროკოს ომის წინააღმდეგ.

პარიზის მოქმედების კომიტეტმა მიმართა სოციალისტურ პარტიისა და შრომის რეფორმისტულ გაერთიანებას წინადადებით შეადგინონ ერთიანი ფრონტი და მოაწყონ 24 საათიანი საყოველთაო საპროტესტო გაფიცვები მაროკოს ომის წინააღმდეგ.

## ავსტრიის მელითონეთა გაფიცვები.

ავსტრიის მუშათა პალატის წინადადების გამო, ავსტრიის კანცლერმა თანხმობა განაცხადა გამოვიდეს შუამავლად გაფიცულ მუშებისა და სამეტალურგიო ქარხნების ადმინისტრაციის შორის.

ავსტრიის მელითონეთა კავშირი აღნიშნავს, რომ თუ სამეტალურგიო მრეწველობაში ადგილი ექნა საერთო მოძრაობას შრომის ხელფასის შესახებ, მაშინ გაფიცვების გაგრძელებას ქარხნებში შეუძლია გამოიწვიოს მეტად სერიოზული შედეგები.

---

ორშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის 11 სექტემბრის სახელობის დარბაზში დანიშნულია აღმასკომის პლენუმის

**მორიგი სხდომა.**

**დღის წესრიგი:**

1. ტფილისის საბჭოს და აღმასკომის დებულების პროექტის განხილვა.
2. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

**პრეზიდიუმი.**

## მობილიზაცია ოსმალეთში.

უცხოეთის გაზეთებში გავრცელებულია ხმები, რომ მოსულის საკითხის გართულების გამო, ოსმალეთის მთავრობა ამზადებს სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაციას.

# საბჭოთა კავშირში

## რამდენი მიწა გადაეცა გლეხობას.

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობის მიხედვით 1923 წლის 1-ლ იანვრიდან 1925 წლის 20 სექტემბრამდი რსფსრ-ს გლეხობას გადაეცა სახელმწიფო მიწის ფონდიდან 279.558 დესეტინა მიწა.

მიწის გადაცემა გრძელდება.

## ამხ. ჩიჩერინი წავიდა შვეიცარიაში საზღვარგარედ.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარი ამხ. ჩიჩერინი გაემგზავრა ორი თვით საზღვარგარედ. ის გააცილა კრასინმა, საგარეო საქმეთა კომისარიატის კოლეგიის წევრებმა და დიპლომატიურმა კორპუსმა.

## მალარიასთან მებრძოლ საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვევა.

რუსეთის ჯანსახკომის კომისარიატმა მიწვევა მიიღო მალარიასთან მებრძოლ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც იხსნება რომში სამ ოქტომბერს. კომისარიატი გზავნის დელეგატათ პროფ. მარტინოვსკის.

ასეთივე მოწვევა მიიღო ვენიდან ნივთიერების გაცვლა-გამოცვლის დაავადების საკითხის შესახებ გამართულ კონფერენციაზე.

---

# საქართველოში.

## კოოპერაცია ოზურგეთის მაზრაში.

საქონლის მარაგი სოფლად უმნიშვნელოა.

დიდი საჭიროებაა ფართალზე, მოკალულ ქურჭლებზე და სამეურნეო იარაღებზე. ამის მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოებას არ მოეპოება საჭირო სახსარი. მომხმარებელ საზოგადოებას აქვს მრავალი წამოწყებები.

ქალაქში არსებობს სახიჩართა კავშირი, რომელსაც გახსნილი აქვს სამი დუქანი.

არის აგრეთვე სხვა კოოპერატივებიც, რომლებიც აწარმოებენ ამ ჟამად თხილების შესყიდვას.

---

## აჭარისტანი.

### მეორე სამხარეთმცოდნეო ყრილობა.

სამხარეთმცოდნეო ყრილობის დელეგატებმა დაათვალიერეს ყრილობის გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია ნიმუშები მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან.

შემდეგ თეატრში გაიმართა ყრილობის პირველი საზეიმო სხდომა. ილაპარაკა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარემ მოწყობილმა, საქართველოს განათლების კომისარმა კანდელაკმა, აჭარისტანის შემსწავლელ საზოგადოების თავმჯდომარემ ქუთათელაძემ და სხვებმა.

არჩეულ იქნა 25 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარე კარპინსკი, სახელმწ. უნივერსიტეტის რექტორი ჯავახიშვილი, დ მსახურებული პროფესორი მელიქიშვილი, აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე მოწყობილი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ხიმშიაშვილი.

## წყალსადენები სოფლად.

იმის გამო რომ აჭარის სოფლებში მეტად გავრცელდა წყალსადენების გაყვანა, საგრძნობი შეიქნა წყალსადენების მილების ნაკლებობა.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა შინაგან საქ. კომისარს შეადგინოს კომისია საჭირო მილების რაოდენობის გამოსარკვევად.

სოფლად წყალსადენების გაყვანისათვის გადადებულია 250. 000 მანეთი.

# სამხედრო საქმე

**სპეციალურ გვარის ჯარების ძიება.**

ქვეითი ჯარისა და ცხენოსნების ძიების შესახებ საკმაოდ ვილაპარაკეთ. ეხლა კი საჭიროა, თუნდაც საერთო სახით, გავეცნოდ ტეხნიკურ ძიებას, რომელსაც აწარმოებს სპეციალური გვარის ჯარები თავიანთ საჭიროებისთვის. ომში ჯარები მოქმედიბენ ერთად, ასრულებენ საერთო ამოცანას, მაგრამ თვითეული თავის სპეციალობაზე მუშაობს და ამით ერთ-მეორეს ეხმარება. რომ არ იმუშაოს ბრმად, „სათუოდ“, თვითეულ ნაწილმა უნდა აწარმოოს ძიება, ე. ი. შეჰკრიბოს უფრო სწორი და ნამდვილი ცნობები მტრის, საერთოდ ადგილისა და იმის შესახებ, რასაც კი შეუძლია საბრძოლო ამოცანის შემსუბუქება.

ამა თუ იმ გვარი იარაღის ჯარი ჩვეულებრივ აწარმოებს ძიებას თავის ვიწრო სპეციალურ ინტერესებისთვის. განვიხილოდ ვინ როგორ ცნობებს კრებს.

**საარტილერიო ძიება.**

ლაშქრული წესით მოძრაობის დროს არტილერიის მძიებლები ეძებენ კარგ გზებს რომელზედაც არტილერიას შეეძლება უფრო ადვილად გავლა. ისინივე ბრძოლის დროს ეძებენ შესაფერს პოზიციებს და მოხერხებულ სათვალთვალო წერტებს.

ბრძოლის დროს არტილერიის მძიებლებმა თვალყური უნდა ადევნონ მტერს და განსაკუთრებით, მის არტილერიას. როგორც სპეციალისტებს, მათ ადვილად შეუძლიათ განსაზღვრონ მტრის არტილერიის მოთავსების ალაგი, მისი ბატარეებისა და ძალების რაოდენობა. თუ ასეთ ცნობებს მიიღებს, ჩვენი არტილერია უსათუოდ დაამარცხებს მტრისას.

ასეთი თვალთვალის გარდა არტილერიის მძიებლები კრებენ ცნობებს ტყვეების და განსაკუთრებით ტყვე-არტილერისტების დაკითხვით.

**საინჟინერო ძიება.** მესანგრე მძიებლები მიდიან ლაშქრობის დროს მოწინავე ნაწილებთან ერთად. მათ ევალებათ გამოარკვიონ გზების ნაკლულევანება, რომელიც ხელს შეუშლის მოძრაობას და აცნობონ თავიანთ უფროსებს, რათა მათ თავის დროზე მიიღონ საჭირო ზომები გზების შესასწორებლად.

საჭიროების დროს ისინი სძებნიან ჩვენი ნაწილებისთვის მოხერხებულ პოზიციებს. თუ საჭირო იქნება მდინარეზე გადასვლის მოწყობა, მესანგრემძვერავები სძებნიან ამისთვის უფრო მოხერხებულ უბნებს.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუშაობა მათთვის—ეს არის მტრის გამაგრებული პოზიციების დაზვერვა და აღმოჩენა.

მესანგრე-მძიებელს აქვს სპეციალური ცოდნა, ადვილად ერკვევა გარემოებაში ადვილად აფყობს, თუ როგორია პოზიცია, როგორი გამაგრებულია ის, თუ სადაა მისი სუსტი ადგილი და სხვა. ასეთი ცნობებით ჩვენ შევსძლებთ სწორედ გადავჭრათ, თუ როგორ აჯობებს ამ პოზიციაზე იერიშით მისვლა.

**საკავშირო ნაწილების ძიება.** მოხერხებულ საკავშიროელ-მძიებელს შეუძლია მიიღოს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მტრის შესახებ. თუ კი ის შესძლებს შეუერთოს თავისი ტელეფონის მავთული მტრისას, იმ შემთხვევაში ადვილი იქნება გაიგოს მტრის ლაპარაკი ისე, რომ მტერი ვერაფერს ვერ შეამჩნევს.

მძიებელ საკავშიროელს, გარდა აღნიშნულისა, აინტერესებს კიდევ საკითხების მთელი რიგი. ჩვენს მხარეზე მას მოუხდება გამოძებნა უფრო მოხერხებულ, ფარულ ადგილების, სადაც გაყვანილ უნდა იქნას კაბელი და სხვა. მტრის ბანაკისაკენ კი მან უნდა დაათვალიეროს და გაიგოს, თუ როგორი მოწყობილია იქ კავშირი საქმე. ხშირად კაბელების მიმართულებით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ შტაბების სამყოფი ადგილები.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

3.

# მზადება ახალგაზრდების მისაღებად.

მომავალი ოქტომბერი სამეცადინეო გეგმაში დითმობილი აქვს სრულიად ახალგაზრდა წითელ არმიელთა მიღებისთვის მზადებას. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს მზადება?

თუ რომ მეომარი მოიხედავს უკან მოიგონებს პირველ დღეებს. როცა ის მოვიდა ყაზარმაში და დაიწყო სამხედრო საქმის სწავლა.

ყველგან ის სცდილობდა წაებაძა ძველი წითელ არმიელებისათვის, ე. ი. აესრულებია ის, რასაც მისი უფროსი ამხანაგი ასრულებდა. და რაც ახალგაზრდა წითელ არმიელმა გაიგო პირველ დღეებში, ის ყველაფერი მაგრად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. ამით, ასე ვსთქვათ, ჩაეყარა საფუძველი სამხედრო საქმეს, ხოლო შემდეგ დაიწყო შენება. საფუძველის სიმაგრეზე დამოკიდებულია შენობის სიმაგრე.

ძველი მეომრის კარგი მომზადებისაგან, რომელიც (მეომარი) შესძლებს გადასცეს თავისი ცოდნა ახალგაზრდას, დამოკიდებული იქნება ჩვენი არმიის ბრძოლის უნარიანობა.

ამრიგად ძველი ნამსახურის პირადი მაგალითი და სათანადო სამხედრო მომზადება პირველი რგოლი უნდა იყოს წითელი არმიის მომავალი მეომრების—ახალწვეულთა გამოჭედისა და განმტკიცებისათვის.

ამ ჟამად ძველ მსახურთათვის დაწესებულია მეცადინეობა (4-4 საათი დღეში). ამ მეცადინეობის მიზანია შეავსოს ის ნაცოურები სამხედრო მომზადებაში, რომლებიც წარმოიშვა სხვა და სხვა მიზეზების გამო.

შემდეგ—განმეორებულ იქნას განვლილი, და ბოლოს გაფართოვებულ და გაღრმავებულ იქნას წინად მიღებული ცოდნა. აქ უკვე თვითეულ მეომარი უნდა დააწვეს მეცადინეობას იმაში, რაც მან უფრო სუსტად იცის, და რაც თავიდათავია—იარაღის ხმარების კარგად შესწავლას.

თითეულმა მეომარმა უნდა იცოდეს, თუ რა მოსახმარია შაშხანა, როგორ უნდა ისროლო მიზნის შესამუსრავად, რატომ მოითხოვს შაშხანა ერთგვარ მოვლას, კარგად მოპყრობას და სხვა. მაგრამ მარტო ცოდნა არ კმარა. მეომარს უნდა შეეძლოს საუკეთესოდ გააკეთოს ყველაფერი დამოუკიდებლად. მაშინ ახალგაზრდა ერთბაშად შეითვისებს პირველ დაწყებითი, აუცილებელ ცოდნას შაშხანის შესახებ.

ახალწვეული მიიღებს ნიჩაბს, აირმსპობს, დაინახავს ასეულში ტყვიამფრქვევს, გრანატებსა და სხვა. ძველ ნამსახურ მეომარს უნდა შეეძლოს ახსნა, თუ რა მოსახმარია ყველაფერი ეს, როდის იხმარება ბრძოლაში, როგორ უნდა იმუშავო ყოველივე ამით და სხ.

ახალწვეულები შეუდგებიან მზადებას დღიურობისა და საყარაულო სამსახურის ასასრულებლად. მათ დაებადებათ მრავალი კითხვა და ცხადია, რომ პასუხისთვის ხშირად მიმართავენ უფროს, ძველ ნამსახურ ამხანგებს.

სირცხვილი იქნება, თუ რომ ძველი ნამსახური გაივიწყებს წესდებასა და ვერ შესძლებს ასწავლოს და აუხსნას ახალწვეულს.

ეს რამოდენიმე მაგალითი გვიჩვენებს, რომ ახალწვეულთა მოსვლამდი დარჩენილი დრო გამოყენებულ უნდა იქნას ძველ ნამსახურთაგან თავიანთ ცოდნის შესავსებად.

რომ გახდე სამაგალითო წითელი მეომარი—საჭიროა მოინდომო.

3.

# ბრძოლაში შესაფერ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა გარამოების სათანადო შეფასება.

დასასრული

მოპირდაპირე—მტერი უმთავრესად თავისუფალი ნებით მოქმედობს ჩვენს გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან ძირითადი ჩვენი ამოცანა მისი დამარცხებაა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ სად არის მტერი? მისი ძალები, მისი დაჯგუფება და მისი მდგომარეობა. ჩვენ ასეთი ცნობების მიღება შეგვიძლია ან უშუალო თვალთვალით, ან ჩვენი მძიებელთა ორგანოებით და ან კიდევ მცხოვრებელთა და ტყვეების გამოკითხვით.

უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარამოება. სახელდობრ ის, რომ დისმენების მიღებამდე დანიშნულ ადგილას შესაძლებელია გარამოება შეიცვალოს. ასეთი შემთხვევა ხშირია ბრძოლის პირობებში, ამიტომ ასეთი დასმენის დაფასების დროს უნდა მივიღოთ ის მხედველობაში. მაგალითად გავიგეთ რა მტერი მოძრაობს „ბ“ მიმართულებით და ის უკანასკნელიდან იმყოფება 8 კილომეტრის მანძილზე. უნდა ვიფიქროთ რომ ამ დასმენის მიღებისას მტერი უკვე იქნება არა 8 კილომეტრის მანძილზე არამედ 4 კილომეტრის, ვინაიდან ცნობის შეკრებიდან და მისი დანიშნულებისამებრ მიღებამდე გავიდა უკვე ვსთქვათ ერთი საათი. ამ ხნის განმავლობაში მტერს შეეძლო ოთხი კილომეტრის გავლა „ბ“ მიმართულებით.

ასეთი მსჯელობასთან გარეგნულათ მჭიდროთ არის დაკავშირებული ამოცანის გამოყვანა მტრის მაგიერ. მტრის მაგიერ ამოცანის გამოყვანა და იმისდამიხედვით თქვენი მოქმედება, ხშირათ არა სასურველათ თავდება და ასეთ ილეთებს უნდა ვებრძოლოთ, მიუხედავათ იმისა, რომ მას ურჩევენ ძველი სახელმძღვანელოები.

როდესაც ჩვენ ვამბობთ მოყვანილ მაგალითებით, რომ დასმენის მიღებისას, მტერი ოთხი კილომეტრის მანძილზე იქნება „ბ“-დან მეთქი, ჩვენ ამით არ ვირწმუნებით, არამედ ვფიქრობთ, რომ ეს ასე უნდა იყოს და ამისდა მიხედვით ვაფასებთ მტრის დაახლოვებას 4 კილომეტრის მანძილზე.

პირველ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვირწმუნებით, რომ მტერი აუცილებლათ 4 კილომეტრის მანძილზე იქნება მეთქი, ამით ჩვენ უკვე წინასწარ ვიღებთ გადაწყვეტილებას ვითომც მტრის ნებას ვუმორჩილებთ ჩვენს ნებას.

ეს არ იქნება სამართლიანი.

მტრის დაფასების დროს არ უნდა დაივიწყოთ მისი მდგომარეობის გარდა მისი ძალები, მისი დაჯგუფება, მისი მორალური და ფიზიკური მდგომარეობა.

ამ გვარათ შევაფასებთ რა მტრის ჯარებს ყოველ მხრივ, გადავდივართ უკვე იმის დაფასებაზე თუ რამდენათ ის მავნებელი თუ ხელსაყრელია ჩვენი ჯარებისათვის და ამისდა მახედვით მივიღებთ ჩვენს გადაწყვეტილებას.

მ. გ—ძე.

# ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## ჩვენი საქმიანობიდან.

მე 6 ლეგიონი.

ლეგიონის ტერ-არმიელები გრძნობენ თავიანთი პასუხის-მგებლობას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე და გულმოდგინეთ და ხალისიანათ ეკიდებიან ყოველ-გვარ დავალებებს. პოლიტიკური მეცადინეობა წარმოებს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დღეში ოთხჯერ.

ასეულები დაყოფილია ეროვნებისდა მიხედვით, რამოდენიმე ჯგუფებათ, რომელთაც ხელმძღვანელობენ ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლიდან პრაქტიკულ მეცადინეობაზე მოვლენილი კურსანტები და ცვალებადელი წითელი არმიელებიც, როგორც 1902 წელში დაბადებულები, ისე ცვალებადი უნცროსი მეთაურები, რომლებიც გამოწვეულ იქნენ 15 აგვისტოს. ჯგუფების ხელმძღვანელებს შორის სწარმოებს გასავლელი თემის წინასწარი გადამუშავება, რის შემდეგ გადააქვთ მეორე დილას თავიანთ ჯგუფებში.

თვითეული ჯგუფის ხელმძღვანელს აქვს სამეცადინო დღიური, სადაც ინიშნება როგორც გავლილი თემები, ისე შეთვისება და წითელ-არმიელთა დასწრება-დაკლება.

პოლიტ-საათზე გავლილი თემების შეთვისება 50 პროცენტით დამაკმაყოფილებელია. უმიზეზოთ დაკლებას მეცადინეობაზე ადგილი არა აქვს. ლეგიონის ძირითად შემადგენლობასთან პოლიტიკური მეცადინეობა სწარმოებს დღეში ორ ორი საათი კომპლექსიური მეთოდით იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ჩვენი მუშაობის პირობებში. არ მოგვეპოვება ასეთი მეცადინეობისათვის საჭირო რუქები, სახელმძღვანელო მასალები და სხვა. ძირითად შემადგენლობის წითელარმიელთა შორის მეცადინეობა ტარდება ათასეულების მაშტაბით ქართულ ენაზე, რადგან სხვა ეროვნების ხალხი არავინა გვყავს.

პოლიტ-მეცადინეობის შემდეგ იწყება სამხედრო სწავლება. არმიელების დაინტერესება ყოველგვარი მეცადინეობით საშვალებას გვაძლევს წარმატებით დავასრულოთ მათთან მეცადინეობა.

უფროს ლიტ შემადგენლობის უმრავლესობა მთელი 24 საათის განმავლობაში იმყოფება ნაწილში, რაც მეტი ცოდნის შეძენისაკენ მიაქანებს ჩვენი ლეგიონის ცვალებადელთ.

უფროსთა და უნცროსთა შორის დამოკიდებულება ამხანაგურია. თუ სადმე ექნა ადგილი სამხედრო დისციპლინის დარღვევას, სასტიკი ზომებია მიღებული ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად.

ცვალებადელთა სულიერი განწყობილება საუცხოვოა. მათ თითქოს გული სწყდებათ კიდეც, რომ ახლო მომავალში მოუხდებათ წითელი ყაზარმის დატოვება, სადაც მათ ბევრი რამ გამოსადეგი შეისწავლეს და შეიძინეს.

ჩვენი ლეგიონის უფროსთა და პოლიტ-შემადგენლობის დაუღალავი და ენერგიული შრომით სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცვალებადელები საერთო ტერ-შეკრების დასრულების შემდეგ გათვითცნობიერებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს.

სამხკორი ნ. ასათიანი.

## ჩვენი წრეები.

5-ე ლეგ. სკოლა.

სკოლაში სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. კურსანტები გულმოდგინეთ უსმენენ ყველა საგნებს. სკოლაში სხვა სკოლის გარეშე მუშაობაც კარგად არის დაყენებული.

დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, როგორიც არიან: რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, წითელი არმიის ისტორიის, სამხედრო, კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრე და სხვა.

ყველა წრეებში გაცხოველებული მეცადინეობა მიმდინარეობს, რაც მიეწერება უმთავრესად წრეების ხელმძღვანელთა ენერგიასა და მონდომებას.

ამ უკანასკნელ ხანებამდე სკოლაში არ არსებობდა ცალკე კომუჯრედი, მაგრამ ლეგიონის შეკრების შემდეგ, მოგროვდენ ამხანაგების საკმაო რიცხვი და უჯრედიც ჩამოვაყალიბეთ.

სამხკორი კუპრაშვილი.

## აქტივისტთა კრება.

6-ე ლეგიონი.

25 სექტემბერს მოწვეული იქნა ლეგიონის აქტიურ ტერ-არმიელთა საერთო კრება. დაესწრო ყველა ამხანაგები.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. ბიბლიოთეკისა და კლუბის მნიშვნელობა, 2. შეჯიბრი მეექვსე ლეგიონსა და ბატარეის შორის.

ბიბლიოთეკასა და კლუბის მნიშვნელობაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. წითლიძე რუსულ და ქართულ ენაზე.

მოხსენება მეტად საყურადღებო იყო და მრავალი შეკითხვები გამოიწვია.

შემდეგ ილაპარაკა ლეგიონის კლუბის გამგემ იმის შესახებ თუ, როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულ ნაწილებს შორის შეჯიბრი და რა შედეგის მოტანა შეუძლია მას.

ამავე კრებაზე დაარსებული იქნა ლეგიონში შემდეგი წრეები: პოლიტ-წრე, სამხედრო, სამხკორთა, სამწყობრო, მომღერალთა, ფეხბურთელთა წრე და სხვა.

აქტივისტი ამხანაგები სურვილისამებრ დანაწილებული იქნენ სხვა და სხვა წრეებში. ბოლოს წაკითხული იქნა სამხედრო პოლიტგანათლების მიერ შემუშავებული საშეჯიბრო გეგმა.

შეჯიბრი მოხდება კვირას 27 სექტემბერს.

ტერკორი მესტიაშვილი.

## ეკსკურსიაზე.

24 სექტემბერს, 6-სე ლეგიონიდან საბ. კურსის კურსანტები გავემგზავრეთ კომუნისტურ უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად,

ჩვენთან წაგვყვა ლეგ. ბიბ. გამგე ამხანაგი კვახაძე. გზაში სიმღერით და მხიარული ყიჟინით მივემართებოდით.

ამხ. ბიბ გამგემ გასცა განკარგულება, რომ გავყოფილიყავით ორ ჯგუფად და ისე დაგვეთვალიერებია ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაგვხვდა ამხ. მარკევიჩი, რომელმაც ვრცელი ახსნა-განმარტება მოგვცა იმის შესახებ თუ როგორ სწარმოებს მუშაობა და რამდენი წიგნი აქვს ბიბლიოთეკას ამჟამად. აქვე ვნახეთ სომხური წიგნები 16-17 საუკუნეში დაწერილი, რომლებმაც დიდათ დააინტერესა კურსანტები.

კომუნისტური უნივერსიტეტის დათვალიერებამ ჩვენს ამხანაგებში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

შემდეგ ვემგზავრეთ მთავარ პოლიგრაფიულ სამმართველოს სტამბაში.

იქაც გავიყევით ორ ჯგუფად.

დათვალიერების დროს კურსანტები დიდათ დაინტერესდენ სხვა და სხვა დარგის მუშაობით, რასაც გვიხსნიდენ იქაური ამხანაგები.

კურსანტები ხშირად ეკითხებოდენ ამხანაგებს, თუ როგორი მუშაობა უხდებათ სტამბაში და როგორ პირობებში არიან ისინი. შეკითხვებზე ყველასაგან დამაკმაყოფილებელ პასუხს ვღებულობდით.

აქვე ეზოში, სტამბის დათვალიერების შემდეგ გავმართეთ სიმღერა, რამაც ძლიერ გაახარა მუშები.

ასე ჩატარდა ჩვენი ეკსკურსია.

ყველა კურსანტები დიდ მადლობას უძღვნით ხელმძღვანელს და იმედი გვაქვს, კიდევ მოგვიწყობს ეკსკურსიებს მომავალში.

შემდეგ დავეწყვეთ და გა-კურსანტი ნ. დვალიშვილი.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

5-ე ლეგიონი.

ჩვენი ბიბლიოთეკა სრულიად ამართლებს თავის დანიშნულებას. წითელ-არმიელებს ის ძლიერ იზიდავს.

ყოველდღიურად 15—20 ახალი წევრი ეწერება ცვალებად არმიელებიდან. წიგნების გაცემა სწარმოებს კოლექტიური აბონემენტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ევალება ასეულის ბიბლიოთეკარს. ყოველი ორი კვირაში ან ერთ თვეში სცვლიენ წიგნებს და მიაქვთ ახალი წიგნები.

გაზეთებით ყველა ასეულები დაკმაყოფილებული, რადგან საკმაოდ მოგვდის. მოგვდის ყველა ქართულ-რუსული გაზეთები, რომლებიც კი გამოდიან ამიერ კავკასიაში.

ბიბლიოთეკაში გვაქვს კითხვა პასუხის ყუთი და სისტემატიურად სწარმოებს საცნობო მუშაობა.

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ლეგიონის ძირედ შემადგენლობისათვის დაარსებულია საბიბლიოთეკო სემინარი, რომელიც ამზადებს ქოხ სამკითხველოს გამგეებს.

26 სექტემბერს ასეთივე სემინარი დაარსებული იქნება ცვალებადელთა შემადგენლობისათვისაც.

სამხკორი 1.000

## საჯარიმო ასეულის ცხოვრებიდან.

ჩვენი საჯარიმო ასეული დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გადმოვიდა ახალ ბინაზე. ეს ბინა შესაკეთებელი იყო და არმიელებმა სულ მცირე ხნის განმავლობაში შესძლეს მისი მოთავება. ასეულში მშვენივრად ვართ მოწყობილი. გვაქვს ლენინის კუთხე. აუარება პლაკატები, დიაგრამები და ლოზუნგები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ლენკუთხესთან ერთად დაარსებული გვაქვს სხვა კუთხეებიც, როგორიც არის სამხედრო, სანიტარული და რემედასის. ასეულში დაარსებული გვაქვს პოლიტწრეც, რომელშიდაც სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. არმიელები დიდი მონდომებით ეკიდებიან ყველაფერს. უნდათ არ ჩამორჩენ სხვა ნაწილებს პოლიტიკურსა და სამხედრო საქმის შესწავლაში.

წ. არმ. ცისკარი.

# ახალწვეულების მოლოდინში.

## პირველი რიგის გაშვება.

პირველი საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენმა ლეგიონმა უკვე გაუშვა შვებულებაში 1902 წელში დაბადებული არმიელები 120 კაცამდე.

დროებით ჩაჩუმდა ყაზარმები. ამდენი ამხანაგების წასვლამ დიდი გავლენა იქონია სხვებზედაც. აღარ ისმის მხიარული ყიჟინი. მხოლოდ ახლად მომსვლელი-ახალწვეულები თუ გაამხიარულებენ დროებით მიჩუმებულ ყაზარმებს და ამას დიდი სიხარულით ველოდებით.

ახლების მისაღებათ აქედანვე დაიწყო სამზადისი. ყაზარმა ეწყობა-სუფთავდება და წესრიგში მოდის ყველაფერი. დარჩენილი არმიელებიც დიდ მონაწილეობას ღებულობენ ამ სამზადისში. იმედი გვაქვს სახში დაბრუნებული ამხანაგები შესაფერად მოამზადებენ ახლად გამოსაწვევ არმიელებს და გაგვიადვილებენ აქ დარჩენილებს, მათთან მუშაობის საქმეს.

სამხკორი ქ. გ—შვილი.

## როგორ მოვეწყობით საზამთრო სეზონში.

უკვე დაიწყო სამზადისი—მუშაობა საზამთრო შენობის შესაკეთებლათ; დაახლოვებით ოქტომბრის შუა რიცხვებში უკვე გადავალთ ნიკოლოზის ქუჩაზე № 51 და იქ მოეწყობა წითელი არმიის და ფლოტის სახლი.

საზამთრო შენობაში გვაქვს 60 ოთახი, რომელიც სხვა და სხვა აუდიტორიებისათვის არის განაწილებული. შენობა ორ სართულიანია შემდეგი განაწილებით:

ზემო სართულში: თეატრი (350 კაცი დაეტევა), ბიბლიოთეკა—სამკითხველო ხმამაღალი კითხვით, წყნარი სამკითხველო, „რემედასის“ ოთახი, ავიოქიმიის, სკოლის გარეშე მუშაკის კაბინეტი, სამხკორების, საგანათლებო მუზეუმი,

ამხ. ლენინის სახელობის დარბაზი, ოთახი ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ, სადისკუსიო, კაბინეთი, ჭადრაკის წრე და სხვა

ზემო სართულში: კინო-თეატრი, მხატვრული სახელოსნოები (4 აუდიტორია: საწყობი, დეკორატიული კაბინეტი, სკულპტურის და მხატვრობის კაბინეტი, დანატურის კაბინეტი); ნაციონალური საქმეთა სექცია (იგივე ქართული სექცია), რადიო-კავშირის კაბინეტი, ტეხნიკურ შეიარაღების კაბინეტი, მუსიკალური წრე, დრამატიული სტუდია, უკრაინის ლიტდრამ ორგანიზაცია „პლუგ“, ბუფეტი, 4 ფოიე, სასადილო და ორი ოთახი საზოგადო საცხოვრებელი ტფილისში ჩამომავალ სამხედრო პირთათვის.

გასულ წელში წითელი არმიის და ფლოტის სახლს არ ქონდა შესაძლებლობა, რომ ასე გაეფართოებია მუშაობა, როგორც წელს არის განზრახული, რადგან მას შენობის სივიწროვე უშლიდა ხელს.

დაგო.

## წითელარმიელები გრძელ ვადიან შვებულებაში.

მეორე ქართული ლეგიონი.

ჩვენმა ლეგიონმა 20 სექტემბერს უკვე გაისტუმრა შვებულებაში წითელარმიელები, გარდა იმ ამხანაგებისა, რომელნიც თავის სურვილით დარჩენ ნაწილში სამეცადინოთ სხვა და სხვა კურსებზე. წითელარმიელები ყველა კმაყოფილი წავიდნენ ნაწილიდან. მიიღეს სხვა და სხვა წიგნაკები, სასოფლო მეურნეობაზე. მხოლოთ არ გაყოლიათ პოლიტიკური შინაარსის წიგნები, რითაც ძალიან დაინტერესებული იყვნენ. იმედია, მომავალში ამას გამოასწორებს ლეგიონი და იმ წითელარმიელებს, რომლებსაც შემდეგ გაანთავისუფლებენ, მაინც დაურიგებენ ასეთი ხასიათის წიგნებს.

მეტი კმაყოფილი დარჩენ წითელარმიელები მაზარების გატნევით. აგრეთვე გამოეცვალათ უვარგისი შარვლები და ბათინკები. მიიღეს სხვა და სხვა დარიგებები მეთაურებიდან, თუ როგორ უნდა მოიქცენ სოფლებში დაბრუნების შემდეგ, რათა არ გასწყვიტონ კავშირი, როგორც ლეგიონთან, ისე ამხანაგებთან, რითაც შეძლება გვექნება გავერკვიოთ ერთიმეორის მდგომარეობას და მუშაობას. წითელარმიელებმა აღუთქვეს უფროსებსა და დარჩენილ ამხანაგებს, რომ მტკიცედ და უცვლელად გაატარებენ სოფლის ხოვრებაში ყაზარმაში მიღებულ ცოდნას. წასვლისას დარჩენილებმა და მიმავალ არმიელებმა დაიწერეს ერთმანეთის მისამართები და შემდეგ ყველა მწყობრათ, მუსიკით და დროშით გავაცილეთ სადგურამდე.

სამხკორი პ. ქველიაშვილი.

# ნაწილების წერილებიდან.

## მოგვეცით კინო.

მეექვსე ტერ-ლეგიონში ხშირად იდგმება წარმოდგენები, მაგრამ კინო კი არა გვაქვს. ბევრს ჩვენგანს ჯერ არც კი უნახავს კინო. კარგი იქნება ჩვენი მესვეურები მიიღებდენ საჭირო ზომებს და ლეგიონში მოაწყობდენ კინო სურათების ჩვენებას. კარგი იქნება ამასთანავე, რომ დაგვათვალიერებიებდენ სხვა და სხვა ქარხნებს და სა...ონოე ბს.

ტერკორი მესტიაშვილი.

## საჭიროა პასუხი მოეთხოვოს.

როდესაც გამომიწვიეს სამხედრო სამსახურში და მივედი ნ თე ლეგ. ტყვიამფრქვევ .ასეულში, ჩვენი ტანისამოსი ჩამოართვეს და მითხრეს სამსახურის გათავების შემდეგ მოგეცემათ. ასე უთხრეს სხვებსაც.

გავათავეთ სამსახურიც და მივედით საკუჭნაოში ტანსაცმელის მისაღებად, მაგრამ უარი გვითხრეს. ტანისამოსი აღარ არისო. მივმართეთ სამნეო ნაწილის უფროსს, მაგრამ იმისგანაც უარი მივიღეთ.

რაშია საქმე? სად დაკარგეს ჩვენი ტანსაცმელი.

საჭიროა პასუხი მოეთხოვოთ ამ ვაჟბატონებს ასეთი გულგრილობისათვის.

წ. არმ. ივ. ბალა...ჯიშვილი.

## ყასაბხანაა თუ საკუჭნაო?

მეორე ქართ. დივიზიის შტაბთან არის საკუჭნაო, რომელიც აბარია გუნდის წ. არმიელ კორქაშვილს. ეს ამხანაგი ხორცის დარიგების დროს თანამშრომლებზე შემდეგნაირად იქცევა. კარგ ნაჭრებს ინახავს. ცუდს არიგებს ხალხზე. შემდეგ გამოიტანს გადანახულ ხორცს და იქვე დამარქაფებულ დვორნიკებს აძლევს 20 კაპ. გირვანქას. საინტერესოა, ვის ხორცს ყიდის ეს ამხანაგი, რომ სავაჭრო ყასაბხანად გადაუქცევია საკუჭნაო?

საჭიროა გაფრთხილება მიეცეს მეკუჭნავეს ვისგანაც ჯერ არს.

წ. არმ. მუხლელი.

# ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობა.

(ამ. კავკასიის უმ. ეკ. საბჭოს მასალებიდან).

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დედა ქალაქებში ძლიერ გამრავლდა სხვა და სხვა გამომცემლობათა განყოფილების გახსნა ბევრი, ამ გამომცემლობათაგან (განსაკუთრებით ტფილისში და ბაქოში) ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას, ზოგჯერ კომერციული თვალსაზრისითაც ხელს უშლიან ერთმეორეს მუშაობის ფართოდ გაშლაში.

ამიტომ, ამ. კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში შემოვიდა ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადება რომელიც დამტკიცებულ იქმნა რომ მიზანშეწონილათ იქნეს ცნობილი დაიხუროს შემდეგი გამომცემლობათა განყოფილებანი: „ოგონიოკ", „კნიგოიზდატელსტვო, „მეჟრაბპომ (ტფ. და ბაქოში) „ნოვაია დერევნია" ტფილისსა და ბაქოში), „იზდატელსტვო ენკაპე, „საკავშირო ფინსახკომის გამომცემლობა" და „კრასნაია ზვეზდა".

დატოვებულ და გაერთიანებულ იქნეს შემდეგ გამომცემლობათა განყოფილებანი: „პრავდა ი ბედნატა და „ტრუდ". დარჩეს: გამომც. „ლენინის კუთხე" და „კრასნი ვოინის" განყოფილება ბაქოში.

**ბიუჯეტის გარეშე დარჩენილ საშვალებათა აღრიცხვა.**

როგორც ვიცით, ა.კ. ცალკე რესპუბლიკებში არსებობენ გარეშე დარჩენილ საშვალებათა აღმრიცხავ კომისიები აღნიშნული კომისიების დანიშნულებაა გამოარკვიონ, თუ ცალკე რესპუბლიკათა უწყებებს რა და რა საშუალებები აქვთ, ისეთები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ბიუჯეტში, მაგრამ ზოგიერთი უწყებები (სახკომატები) აგვიანებენ ასეთი ცნობების წარდგენას. ამიტომ ა. კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ მისცა, რესპუბლიკათა კომისარიატებს კატეგორიული წინადადება, რომ წარადგინონ ასეთების შესახებ ცნობები ძლიერ დაჩქარებით.

# ამბები სოფლებიდან

**„ერთიანი"-ს ჩატარების გასა-ქუჩების კ...ე...ბ... სურამ...**

**ადვილებლათ.**

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების გასაადვილებლათ ტყვიავის სათემო აღმასკომთან (გორ. მ.) დაარსდა გადასახადის მიმღები პუნქტი.

**შ..ფობის მიღება.**

ტყვიავის სათემო გლეხკომმა გადასწყვიტა მიიღოს შეფობა სოფ. მარანას ბავშვთა კომუნისტურ უჯრედზე.

სურამის ვაჭარ-ხელოსნებმა, თავიანთ კრებაზე დაადგინეს თვით შეუდგენ სურამის მთავარი ქუჩების ქვაფენილებით მოგებას.

**სას-სამ. ტეხნიკუმის თვის.**

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გადასცეს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს ე. წ. „ნიკოს სასახლე".

**კრედიტი კოოპერატივს.**

ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რომ ზუგდიდის მთლ. კოოპერატივს გაუდიდდეს კრედიტი 50 ათას მანეთამდე.

**სკოლების შეკეთება.**

მეტეხის სათემო აღმასკომმა (გორის საზრა) დაადგინა საკუთარი საშვალებებით შეუდგეს თემში არსებულ სკოლების შეკეთებას.

# ახალი ამბები.

— **დახმარება. მე-6 ლეგიონს.** მე 6 ქართ. ლეგიონის საჭიროებისათვის ტფილისის აღმასკომმა დახმარების სახით გადასდო 376 მანეთი.

— **ტფილისის აღმასკომის** დადგენილებით ა. კ. და საქართველოს ცაკების წევრებს შეუძლიანთ იმგზავრონ უფასოთ ტრამვაიზე, საკუთარი მოწმობებით.

— **დახმარება წითელ თეატრს.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა მისცეს შესაფერი დახმარება წითელ თეატრს მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

— **მოზარდი უმუშევრები.** საქ. შრომის კომისარიატის ცნობებით ტფილისში ამჟამად ითვლება 556 მოზარდი უმუშევარი.

— **შრომის კომისარიატი** ამ დღეებში განიხილავს ხელოვნების კავშირისათვის საშუამავლო ბიუროს დაარსების საკითხს.

— **აფთიაქების შეკეთება.** ტფ. აღმასკომმა დაავალა აფთიაქების სამმართველოს შეაკეთოს მაზრაში და ქალაქში არსებული აფთიაქები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ნივთიერების აგებულობა.**

უკანასკნელ ხანებამდე მეცნიერება ფიქრობდა, რომ ყველა უბრალო სხეულები ანუ როგორც უწოდებენ მათ, ელემენტები, მაგალითად: რკინა, ტყვია, ოქრო, წყალბადი (წყლის შემადგენელი ნაწილია) ჟანგბადი (ჰაერის შემადგენელი ნაწილი) შესდგებიან უმცირესი პაწია ნაწილებისაგან, რომლებსაც ატომები ეწოდებათ. ეს ატომები იმდენად პატარები არიან, რომ მათი დაყოფა კიდევ პაწია ნაწლაკებად შეუძლებელია და მათი დანახვაც ხომ წარმოუდგენელი საქმე იყო უძლიერესი გამადიდებელი შუშებითაც კი.

ამნაირად ატომების ამ განუყოფელობაზე—გამოყვანილი იყო მეცნიერული კანონები, რომელზედაც ემყარებოდენ ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებანი.

ამ უკანასკნელად მომხდარმა აღმოჩენამ სრულიად გამოაშკარავა ძველი მეცნიერულ კანონების სიყალბე. მეცნიერებაში ნამდვილი რევოლიუცია ხდება.

**ვინ ახადა ამ საიდუმლოებას ფარდა?**

არის ერთი მეცნიერი ქალი გვარად კიური, რომელმაც გაითქვა სახელი ე, წ. ლითონ რადის აღმოჩენით. ამ ქალმა უკანასკნელად გამოიგონა ისეთი ხელსაწყო, რომლის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა ამოეცნო კაცობრიობის ბუნების საიდუმლოებათა მიუღწეველი საიდუმლოებანიც.

**ჩვენ ვიხილეთ „უხილავი".**

მარიამ კიურის მიერ აღმოჩენილი ხელსაწყო ისეთი თვისების არის, რომ მისი მეოხებით შესაძლებელია მოვისმინოთ—შევეხოთ კიდევაც უუმცირეს ნაწილაკების მოძრაობას, რომლებსაც ვერ ხედავს ჩვენი თვალი.

ატომი ანუ სხეულის უუმცირესი ნაწილაკი დაახლოებით იმდენჯერ უფრო პატარაა უმცირეს ქვიშის კაკალზე, რამდენადაც ეს მხედველობისათვის თითქმის შეუმჩნეველი ქვიშის კაკალი ნაკლებია მთელ დედამიწის ბურთზე.

მიუხედავად ამისა მეცნიერებმა შესძლეს, მართალია სხვა საშუალებით, მაგრამ მაინც ეხილათ-დაენახათ ატომი.

კიდევ მეტი, მეცნიერებმა შესძლეს გაეზომათ და გადაეღოთ ატომის ფოტოგრაფიული სურათიც.

ეს ახალი აღმოჩენა გვაფიქრებიებს, რომ მთელი სამყარო—დედამიწა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვისუნთქავთ, სხვა ქვეყნები, რომლებიც გაბნეული არიან უსაზღვრო ცის სივრცეში, და ბოლოს თვითონ ჩვენ-ჩვენი სხეული და თითეული პატარა ნაწილაკი, რომელიც კი არსებობს ქვეყანაზე,—ყველაფერი ეს არის ელექტრონული ენერგია, და მთელ სამყაროში არ არსებობს სხვა რომელიმე მატერია-ნივთიერება.

თუ მივიღებთ ამ ახალ სწავლას ჩვენს გარშემო მყოფ ქვეყნის მიმართ, მეცნიერები ძირეულად მოახდენენ რევოლიუციას თანამედროვე მეცნიერებაში.

განსაკუთრებით ეს შეეხება ქიმიას და ფიზიკას.

აქ ისეთი გზები იხსნება ბუნების საიდუმლოებათა ამოსაცნობათ, რომ პირდაპირ დაუჯერებლად მიგაჩნია კაცს წარმოუდგენილი შესაძლებლობანი.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე ვმსახურებ წითელ ჯარში. ოჯახში მყავს ...ტოვებული ცოლშვილი. ცოლი ამ ჟამად ავად არის. მე ...გორც წ. ა. არ მაქვს საშუალება, უწამლო ავადმყოფს. ...ხოვთ მიპასუხოთ ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

წ. არმ. ბათიაშვილი

**პასუხი.** მიმართედ ჯანმრთელობის განყოფილებას, რ... მელიც მოვალეა, როგორც წითელ არმიელს დახმარება ა... მოგიჩინოს.

**კითხვა.** ვმსახურებ წ. ჯარში. სახლში დავტოვე ...ოთ სული შრომის უნარ მოკლებულნი. გამოწვევის დროს წ... რუდგინე მოწმობები მიმღებ კომისიას როგორც ოჯახის მ... რჩენალის. ამას ყურადღება არ მიაქცია კომისიამ. და გ... მიყვანეს სამსახურში გთხოვთ მიპასუხოდ ვის უნდა მივმართ... ამის შესახებ?

წ. არმ. ხუჭუა.

**პასუხი.** თქვენი უფროსის საშუალებით უნდა მიმართო... ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას. ... ადმყოფობის შესახებ კი თქვენს უფროსს.

**კითხვა.** ჩემს ნაწილს ჩამოვრჩი ორი დღით. შემდ... წამოვედი უბილეთოდ. გზაში დამიჭირეს და შემიდგინეს ო... მი. გადამახდევინებენ თუ არა ბილეთის ფასს?

წ. არმ. კ—ძე.

**პასუხი.** გადაგახდევინებენ.

**კითხვა.** მე- 5 ლეგ. მე ვიყავი გადაგზავნილი უფროს... მეთაურთა სკოლაში. მაჭარებელში მომპარეს საცვლები. მე... კუთვნის თუ არა გადავიხადო მისი ღირებულება?

ხირსელი.

**პასუხი.** უნდა მოხდეს კვლევა-ძიება და თუ დაამტკიცეთ რომ ნამდვილად მოგპარეს, იმ შემთხვევაში არ გადაგხდებათ.

**კითხვა.** ვმსახურებდი ქართ. მეთ. სამხ. სკოლის უმწყობრო ასეულში ზემდეგის თანამდებობაზე და ვიღებდი უმცროს მეთაურის ჯამაგირს. აქედან გადამიყვანეს სამხ. სკოლაში კურსანტათ. გთხოვთ მიპასუხოთ მივიღებ თუ არა სკოლაში უმცროს მეთაურის ჯამაგირს?

ბერია.

**პასუხი.** არ მიიღებთ.

**კითხვა.** ჩვენთან გამოწვეულნი 1-ლ დივიზიის წ. არმიელებს ანთავისუფლებენ, ჩვენ კი, მე-2 დივიზიისას ჯერ არა. გთხოვთ გვიპასუხოთ, როდის გაგვანთავისუფლებენ?

**პასუხი.** კ. წ. დ. ა. ბრძანების № 375 თანახმად ტერნაწილების წ. არმიელებს გაანთავისუფლებენ მეორე რიგში.

**კითხვა.** ჩვენ ვმსახურობდით ერთ თვეს ჩვენი საკუთარი ფეხსაცმელებით და დაგვეხა, წასვლისას მოგვეცემა თუ არა ფეხსაცმელი?

წ. არმ. ვაშაკიძე.

**პასუხი.** მოგეცემათ ფეხსაცმელის ფასი.

**კითხვა.** გამოწვეული ვარ 1924 წ. მაისში. ვმსახურებ ტერ ნაწილში როდის დაგვითხოვენ უვადო შვებულებაში?

წ. არმ. ბაბუაძე.

**პასუხი.** დაგითხოვენ მეორე რიგში.

**კითხვა.** აქვს თუ არა უფლება ბატარეის ოცეულის თავს, რომ თავისი ცხენი სამსახურის დროს მოიხმაროს ბატარეის უფროსის ნება დაურთველად?

ოცის თავი.

**პასუხი.** არა.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. უხარაძეს.** (1-ლი მესანგრე) თქვენი წერილი „მოგვეცეს საშუალება" გადაეგზავნა თქვენივე ნაწილის უფროსს ზომების მისაღებათ.

**ამხ. შრომის შვილს.** (2-რე საარტილერიო) კორესპონდენცია" „ნათლიმამობის შესახებ" გადაეგზავნა თქვენივე ლეგიონის თავს.

**ამხ. ბურდიკოვს.** (5-თე ლეგ.) თქვენი წერილი არ გამოდგა.

**ამხ. ვ. კუნჭულიას** (1-ლ საკავშირო) გთხოვთ შამოიაროთ რედაქციაში.

**ამხ. შეშაბერიძეს** (1-ლ საარტილერიო) თქვენი წერილი შვებულ არმიელებისადმი დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ნინუაკუთხელს** (1-ლი საკავშირო) წერილი ექიმის შესახებ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. გვენეტაძეს** (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილი ძლიერ გაუგებარია და წვრილმანი. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**დავკარგე** კომპარტიის საწევრო წიგნაკი № 499385 თევდორე ფილიპეს ძე აგლაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.